გაზეთი ღირს

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

# ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათ დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას ტფილისში, აგზნალის ქუჩა, თ. ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკის სახლებში. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარიას სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: წვრილ ასოები სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1891 სალიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1891

ქვრივი ელისაბედ გიორგის ასული ნათაძისა აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთ, რომ კვირას, 17 თებერვალს, დილის 10 საათზედ, ქაშუეთის ეკლესიაში გარდახდილი იქნება ორმოცის წირვა და პანაშვიდი განსვენებულ მოსე ივანეს მის ნათაძის სულის მოსახსენებლად. (3—1)

## ივერია

გამოვა 1891 წელსაც იმავე პროგრამით, როგორც აქამდე.

ვისაც ჰსურს დაიკვეთოს გაზეთი ამ 1891 წლისთვის, მიჰმართოს:

ტფილისში: ა) თვითონ რედაქციას, ნიკოლოოზის ქუჩაზედ, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თ. გრუზინსკისეულს სახლებში, № 21; ბ) „ქართველთა-შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ კანცელარიას, სასახლის ქუჩაზედ, თავად-აზნაურთა საადგილ-მამულო ბანკის ქარვასლის გალერეიაში.

ტფილისის გარედ მცხოვრებთა უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:

В Тифлисъ. Въ редакцію газеты „ИВЕРІЯ“.

რედაქცია ამასთანავე აცხადებს, რომ იგი გაზეთის გაგზავნის გამო პასუხის მგებელ იქნება მარტო იმ ხელის-მომწერთა წინაშე, ვინც გაზეთის დაკვეთისათვის შესახვედრს ფულს პირდაპირ რედაქციაში და ან „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ კანცელარიაში წარმოადგენს, ანუ გამოგზავნის.

გაზეთის ფასი დაბეჭდილია გაზეთის სათაურშივე, ხოლო სრული პირობანი გაზეთის დაკვეთისა გამოცხადებულია უკანასკნელს გვერდზედ.

## ახალი ამბავი

—

*** ამ თვეის 13-ს ტფილისის ფერიცვალების ანუ დარიის მონასტრის სამრევლო სკოლაში ბრძანდებოდა რექტორი სემინარიისა არქიმანდრიტი მ. ნიკოლოოზი, გამოსცადა შეგირდები და დიდი კმაყოფილი დარჩა. სკოლაში მამა რექტორმა ნახევარი საათი დაჰყო, ზოგიერთს ყოჩაღს შეგირდებს დაურიგა საჩუქრად წიგნები და შემდეგ მადლობა გადუხადა მასწავლებელსა შეგირდების წესიერად მომზადებისათვის და აგრეთვე სკოლის გამგესა და დამაარსებელს არქიმანდრიტს მ. კესარიოსს. ამ ჟამად სკოლაში ირიცხება 45 შეგირდი. ამათში 36 ქართველია, 7 სომეხი და 2 რუსი. სწავლება უსასყიდლოა.

*** შარშან „ივერიაში“ გვქონდა მოხსენებული, რომ წოველებმა და პირიქითელმა თუშებმა იყიდეს კობიაშვილისაგან მშვენიერი მამული, ტყე და საძოვარიო. სიერცე ნაყიდის მამულისა უდრიდა ორი ათას ას სამოცდა-ათ დღიურს. ამ ძვირფას მამულში თუშებმა მისცეს მამულის პატრონს სულ ოც-და-ათი ათასი მანათი. ათი ათასი მანათი თვით თუშებმა მოახერხეს და ოცი ათასი-კი ივალეს სხვადა სხვა ქალაქის მოვაჭრეთაგან და ვალში დიდ სარგებელსაც იხდიდნენ. ამისათვის რამდენისამე განათლებულის კაცის ჩაგონებით, თუშებმა მიართვეს ხელმწიფე იმპერატორს უქვეშევრდომილესი თხოვნა, რომ გვასესხეთ 18 ათასი მანათი მცირედის სარგებლით და სანამ ვალს არ მოვიშორებთ, მამული ხაზინასა ჰქონდეს ვირაოდაო. თხოვნა თუშებისა შეწყნარებულ იქმნა უმაღლესის მთავრობის მიერ და ებრძანა საგუბერნიო მმართველობას, მიეცით 18 ათასი მანათი თუშებსაო. სანამ ფულებს ხელში მისცემდნენ თუშებს, საგუბერნიო მმართველობა შეეკითხა ადგილობრივ მაზრის უფროსს, რამდენი ვალი-და ჰმართებთ თუშებს კერძო კაცებისაო. ამაზედ ის პასუხი მოვიდა, რომ ვალი მთლად არის გადახდილი, დარჩა მხოლოდ შვიდი ათასი მანათიო. ამის გამო საგუბერნიო მმართველობამ მისცა მხოლოდ შვიდი ათასი მანათი და დანარჩენზედ უარი უთხრა. ასეთი განკარგულება ადგილობრივის მთავრობისა თუშებს არ ესიამოვნათ და ხელ-მეორედ მიართვეს მთავარ-მართებელს არზა: რაც უმაღლესმა მთავრობამ დაგვინიშნა ფული, უნაკლულოდ მოგვეცითო, რადგან კერძო მოვალეებისა კიდევ გვმართებს თორმეტ ათას მანათამდეო. რითი დასრულდება ეს საყურადღებო საქმე, თავის დროზედ შევატყობინებთ მკითხველს, სასურველი-კია, რომ მალე ბოლო მოეღოს და თუშების სასარგებლოდ გადასწყდეს, რადგან კერძო მოვალეებს თუშები უღვთო სარგებელს აძლევენ და მთავრობისაგან აღებულ ას მანათში-კი მარტო ექვსი მანათი სარგებელი უნდა აძლიონ.

*** რამდენიმე წელიწადია, რაც ჯავისა და ჰერივის საზოგადოების ორ გვარეულობას, ოსეთში, ვანიშვილებსა და ვალიშვილებს, ჩხუბი და დავიდარაბა აქვთ ატეხილი ერთ მცირედ მამულზედ, რომელზედაც არის აშენებული ერთი საცოდავი წისქვილი. რა-კი მშვიდობით ვერ მორიგდნენ ვანიშვილები და ვალიშვილები, მიჰმართეს სოფლის სასამართლოს, გაარჩიეთ ჩვენი საჩივარი და ამით ბოლო მოუღეთ ჩვენს დაუსრულებელს დავასაო. იმის მაგიერ რომ ეს საჩივარი ერთის რომელისამე საზოგადოების სასამართლოს გაერჩია, რაღაც უცნაური კრება შესდგა, რომელშიაც მიიღეს მონაწილეობა ერთმა ჯავის მოსამართლემ და მამასახლისმა და კიდევ ჰვივის საზოგადოების ერთმა მოსამართლემ და ამავე საზოგადოების მამასახლისმა. ასეთმა უცნაურმა მოსამართლეების კრებამ განიხილა საჩივარი და დაადგინა თავისი გადაწყვეტილება. რასაკვირველია, ასეთი კანონის შეუფერებელ მოსამართლეების კრების გადაწყვეტილება მოიშლება, მაგრამ ამ მხრივ არ არის საყურადღებო ეს საკვირველი განაჩენი. ეს გარემოება ცხადად ამტკიცებს, რომ ჯერ-ჯერობით ჩვენს მდაბიო ხალხს ისიც ვერ შეუგნია და შეუთვისებია, თუ ვისგან უნდა იყოს შემდგარი სასოფლო სასამართლო. სამწუხაროდ, მთავრობის მოხელენი, რომელნიც ხალხთან ახლო სდგანან, არ უხსნიან, რაში მდგომარეობს მათი მოვალეობა, როგორი უნდა მოიქცნენ და რა რიგითა და წესით უნდა გაასამართლონ მოდავე-მომჩივანნი. ამისთვის ხდება ხოლმე, რომ ასეთ უცნაურსა და საკვირველს განაჩენს წააწყდება კაცი. შეიძლება ხალხის ასეთის გაუგებრობის მიზეზი ისიც იყოს, რომ სასოფლო დებულება ქართულს ენაზედ ალარსად მოიპოვება.

*** ხევი: ამ ექვსის კვირის წინად თრსოს ხეობის სოფელ ყარათყავში მცხოვრებელმა იორდანე ურთაევმა დაჰკარგა თავისი კანონიერი ცოლი, სახთი ძახოთას ასული. ქმარს დაკარგული-კი არა, ასე ჰგონებია, რომ იქნება ჩემს ცოლს სიტყვით რამე ვაწყენინე და იმიტომ გაჯავრებული სამშობლოს თუ წავიდაო (ქალის სამშობლოც თრსოვე ხეობაშია), და საქმე-კი თურმე სხვა რიგად ყოფილა: ქალი გაუტაცნია თავისათვის ცოლად ერთს კავკავის ოლქის სოფელს სადონში მცხოვრებელს მთის ოსს, ასახ ბესოლოვს. ბესოლოვს მარტოს არ ჩაუდენია ეს საქმე, ორი ამხანაგიც კიდევ სხვა ჰყოლია თან, იმავე კავკავის ოლქის სოფ. ზაყაში მცხოვრებნი, სახელდობრ ბიბო და ესტატე ქალოგოვები. ეხლა მოტაცებულის ქალის ქმარმა იორდანე ურთაევმა ამის გამო ადგილობრივ ბოქაულთან იჩივლა. იმედია, რომ ბ-ნი ბოქაული ამ საჩივარს გულ-გრილად არ მოეპყრობა და რიგიანად დასჯის ამ დამნაშავეთ, მით უმეტეს, რომ პირველი მაგალითია ასეთი, შემთხვევა ჩვენს მთაში.

*** სიღნაღი: ორშაბათს, თებერვლის ოთხს, ბაკურციხის ტყეში მოჰკლეს თავადი ივანე გრიგოლის ძე ვაჩნაძე, რომელსაც დარჩა ცოლი და სამი მცირე-წლოვანი ყმაწვილი. როგორც მნახველები ამბობენ, საქმე ყო- [illegible] დღეს გლეხებმა ბაკურციხის მემამულეთა ნება დართეით ტყეში მოსჭრეს და დაამზადეს შეშა, იმ დროს, როდესაც შეშებით უნდა დაეტვირთნათ ურმები მუშებსა და წასულიყვნენ, საიდგანღაც გაჩნდა შეთოფ-იარაღებული თავადი ივანე ვაჩნაძე გლეხებით და დაუწყო წართმევა შეშისა. მუშა-გლეხებმა წარუდგინეს თავადს კანონიერი ბარათები, ბაკურციხის მემამულეთაგან მიცემული, მაგრამ ამას თავადმა არ მიაქცია ყურადღება და გაირეკა შეშით დატვირთული ურმები წინ. სწორედ ამ დროს მოუხდათ ამირხანოვის მუშებს ჩხუბი თავად ივანე

## ფელეტონი

〰〰

### მეცხვარე

(დასასრული *)

მოუ-ხლოვდა მეცხვარეს სამ-ცხენიანი ეტლი, რომელსაც თან მოჰყვა ხუთი ცხენოსანი გლეხი. ეტლში იჯდა პოლიციის ბოქაული. ცურ-პეკა და ბოთვერა გაკვირვებით, განცვიფრებით სინჯავდნენ მოულოდნელს სტუმრებს. გადმოვიდა ბოქაული ეტლიდგან და მივიდა ცურ-პეკასთან. გლეხები დაქვეითდნენ და უკან მიჰყვნენ.

— ვისია ცხვარი? ჰკითხა ბოქაულმა მეცხვარეს.

— ბატონისაა, უპასუხა ცურ-პეკამ.

— ბატონი ვინ არის.

— არ ვიცი.

— როგორ არ იცი. ვისთან მსახურობ?

— რად მინდა მისი ცოდნა, ყველაფერი მებარგისაგან მეძლევა.

— ივანე პატლატი სადღაა?

— ვინაო?

ივანე პატლატი.

— მაგისთანა ჩვენ არავინა გვყავს.

— სტყუი, დაადგა ბოქაული. შენ ვინა ხარ?

— მეცხვარე.

— რა გქვიან?

— ცურ-პეკა.

— სახელი?

— სახელი? სახელი მეცხვარეა.

გლეხებს გაეცინათ.

— სულელო, დაუყვირა ბოქაულმა, რა რჯულის კაცი ხარ? ღმერთსა ლოცულობ?

ცურ-პეკამ მოიხადა თავის ფაფახი და გადიწერა პირჯვარი.

— მადლობა ღმერთს, მართლ-მადიდებელი ყოფილა! მაინც რა გქვიან: ივანე, პეტრე, თუ ნიკოლოოზ?

— ცურ-პეკა.

— ფუ! მაჩვენე შენი ბილეთი!

ცურ-პეკამ დააჭყიტა თვალები; აშკარად სჩანდა, რომ არ ესმოდა, რა უნდოდათ იმისაგან. ბოთვერა ხან პატრონს შესცქეროდა, ხან სტუმარს.

— ქაღალდია იმისთანა, საცხოვრე ბლად ეძლევაო, აუხსნა ბოქაულმა.

ცურ-პეკამ თავი გაიქნია.

— უბილეთოდ ცხოვრება არ შეიძლება!

მეცხვარეს გაეცინა.

— მაშ როგორ არის, რომ მე ვცხოვრობ?

ბოქაულს მოთმინების ფიალა აევსო:

— მე შენა გკითხავ, გაქვს ბილეთი, თუ არა?

ცურ-პეკამ მიიხედა ძაღლისაკენ, თითქოს ეკითხებოდა:

— რაო, ბოთვერ, შენ არ იცი რას გვთხოვენო?

ძაღლმა თვალები დაახამხამა.

მეცხვარე თითქოს მიხვდა ძაღლის პასუხსაო, გადაწყვეტით მიუგო:

— ჩვენ მაგისთანა არავინა გვაქვს, რაც აქა ვარ.

—სტყუი! შენა ხარ ივანე პატლატი, შენ იმალები, შენ ტანტალებ, ციმბირიდგან გამოქცეული ხარ, შენ გეძებენ! მაშინვე გიცან!..

გაველებულ მეცხვარეს არ ესმოდა, რა არის ციმბირი, რა არის ტანტალი, საიდგან უნდა გამოქცეულიყო, ვინ და რისთვის დაეძებდა, რისთვის აწვალებდნენ და რა უნდოდათ მისგან, და დარეტიანებული იდგა.

— შენ, ძმავ, ჩვენ უნდა წამოგვყვე!

— სადა და რადა? მე აქაც კარგადა ვარ, აქედგან არსად არ წავალ.

ბოქაული ავენთო, დასტაცა მეცხვარეს ხელები მხრებში, მაგრამ ბოთვერა ერთ წამს ეძგერა მტერს, შეაყარა ტოტები მკერდზე და ბოქაულს რომ ხელი არ ეღო მეცხვარისაგან, უთუოდ ყელს გამოაღადრიდა.

— თეო! გაუჯავრდა ძაღლს მეცხვარე.

ძაღლი ისევ მიწვა. ბოქაულმა მათრახი გადაარტყა ძაღლს. ამის მნახველს მეცხვარეს პირი-სახე დაელმიჟა და იმის ხელში დიდმა დანამ გაიპრიალა.

— შენ ისევ მე მცემე და ძაღლსკი ხელს ნუ ახლებ, თორემ გამოგშიგნავ!

ბოქაულმა იშიშვლა ხმალი და უბრძანა გლეხებს:

— ხელები შეუკარით, მაგ ავაზაკს!

გლეხებმა დაინახეს თუ არა გამგელებულ მეცხვარის ხელში დანა, გაუბედავად ერთი ნაბიჯი ძლივს წასდგეს და შედგნენ. ბოთვერას ბურძგი აეშალა და ღრინავდა. მეცხვარემ დაუსტვინა და გარშემო მყოფი ძაღლები სულ მოცვივდნენ. ძაღლების კბილებს კაწკაწი გაჰქონდათ და უკვე მზად იყვნენ ბრძოლისთვის. ბოქაული და გლეხები გაქვავდნენ: მტერი ძლიერი იყო და ბრძოლა ვერ გაებედნათ. ცურ-პეკამ ჩააგო დანა ქარქაშში, დადგა გულ-ხელ დაკრეფილი და მიჰმართა გლეხებს.

—რას შესცქერით, დამიჭირეთ რაღა!

გლეხებმა ერმანეთს გადახედეს და აჩქარებით შესხდნენ ცხენებზე.

ხელ-ცარიელი დაბრუნდა ბოქაული. მინდორს წინანდებური ფერი დაედო. კაცი წამოდგა, წამოიშალა ცხვარიც და მინდორს მოეფინა. შუაგულში

*) იხ. „ივერია“ № 35.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეჰრნაძესთან და ეს ჩხუბი გათავდა თავადის მოკვლით.

*** ჩვენ ამას წინად გვქონდა ჩვენს გაზეთში ნათქვამი, რომ ტფილისში ჩქარა ჩამოვა ჰერცოგი ორლეანელიო. ეხლა გაზ. „Нов. Обоз.“-ს შეუტყვია, რომ ჰერცოგი კერძო კაცსავით ჩამოვა, აქ გრაფ ფილიპე დე-ნევერის სახელით დაჰყოფს მცირეოდენს ხანს და თან ეყოლება თავისი მდივანი მარსელ ბარრიერიო. ტფილისიდგან ჰერცოგი ორლეანელი სპარსეთში აპირებს წასვლას.

*** გაზ. „Каспій“-ს სწერენ ბათუმიდამ, რომ 9 თებერვალს ღამე ბათუმის ციხიდგან რამდენიმე პატიმარი, ავაზაკობისათვის შეპყრობილი, გაიქცაო. გაქცეულთა შორის ურევია ისიც, რომელმაც მოჰკლა საზღვრის დარაჯიო.

*** გაზ. „Кавказъ“-ის სიტყვით, ერთს ხმოსანს წარუდგენია ტფილისის საქალაქო გამგეობისათვის პროექტი იმისი, რომ უკეთესად მოეწყოს ბიურო საქალაქო შემოსავლის მოკრებისა. პროექტის აზრით, ტფილისი უნდა 12 უბნად გაიყოს; თითოეულს უბანში უნდა იყოს განსაკუთრებული ქალაქის კომისარი, რომელმაც უნდა ჰკრიფას შემოსავალი და ჰხარჯოს ფული ქუჩების ქვით მოფენისათვის, ყური უგდოს ფარნებს, ქუჩის მგვლელებს და სხ. ამისთანა კომისარს უნდა ჰქონდეს ჯამაგირი წელიწადში 1,200 მან. და მათი დანიშვნაცა და თხოვნაც საბჭოს ნება-დაურთველად არ უნდა შეეძლოს გამგეობასაო.

*** ამ თვის 13, წყნეთის ქუჩაზე, ტიგრან ტერ-პოლოსოვის სახლთან, იპოვნეს შვიდის დღის დაბადებული ბავშვი და საპებიო ინსტიტუტში გაჰგზავნეს.

◆◆

## ორი კანონიერი ცოლი

(ამბავი ლეკიანობის დროებიდგან)

მეთერამეტე საუკუნეში ქართლსა და კახეთს ერთმანეთში უსიამოვნება და აურზაური ჰქონდათ და ამ აურზაურს ის მოჰყვა, რომ ქართლში დროებით ოსმალონი გაბატონდნენ და კახეთში-კი ლეკები. ლეკები ხშირად დაეცემოდნენ ქართლის სოფლებს, სცარცვავდნენ, არბევდნენ მცხოვრებლებსა და ამ სახით თარეშობდნენ მეთვრამეტე საუკუნის დამლევამდე. ქონებას გარდა, ხშირად მოხდებოდა ხოლმე, რომ ქალსა და კაცსაც იტაცებდნენ, მიჰყავდათ და ჰყიდდნენ დაღესტანს თავიანთს სახლში. მოგვყავს ამ არა სასიამოვნო დროებიდგან ერთი ამბავი, ნაამბობი ს. ტეზერში 88 წლის მოხუცის გიგოლა ხოლუაშვილის მიერ:

დედაჩემი გულქანა მაღალი წარმოსადეგი დედაკაცი იყო, სთქვა გიგოლამ: ეშხიანი პირი-სახე ჰქონდა და ლოყები წითელის თურაშაულის ვაშლივით ჰქონდა დაბრაწული. გულქანა მუდამ ქმართან იყო და მუშაობდა, რადგანაც სახლში ლეკების შიშით მარტო ვერა რჩებოდა. ერთხელ გულქანა ქმართან მინდვრად იყო გასული და ძველს თესლს ქერსა მკიდა. ამ დროს აქ ჰყავდა იმას წლისა და ნახევრის მესამე ვაჟიშვილი. შუადღისას დაეცა მამაჩემს ოცი-ოც-და-ათი ლეკი, მოსტაცეს ლამაზი ცოლი პატარა ბავშვითურთ და გაიტაცეს. მამაჩემმა ბევრი იყვირა თურმე, ბევრი ილრიალა, მაგრამ დროზედ არავინ მიეშველა. მგზავრობის დროს ლეკებმა ერთხელ ტყეში დაისვენეს და დაღალულები ღრმა ძილს მიეცნენ. ამ დროს დაღონებული გულქანა ლეკთა შუა თავისუფლად იჯდა, ბავშვს ძუძუს აწოვებდა და მდუღარე ცრემლები ჩამოსდიოდა ვარდის ფერად შეხამებულს ლოყებზედ. რაკი ჰნახა საცოდავმა ტყვემ, რომ ლეკებს გულიანად სძინავთ, ადგა ფეხ-აკრებით, ნელ-ნელა ლეკებს მოშორდა, კარგა გზა გაიარა ტყეში, ერთი დიდი გა-[illegible] ჩირგვი იპოვნა, შეძვრა იქ ბავშვითურთ და სული გაკმინდა.

ამასობაში ლეკებმა გამოიღვიძეს და ელდა ეცათ, რაკი შეიტყეს, რომ ქალი აღარსად არის და გაპარულაო. ოც-და-ათმა კაცმა ტყეში ორს საათზედ მეტი იარა და ძლივს მიაგნეს დამალულს დედაჩემს. აქედგან რომ წავიდნენ, გულქანა ძალიან დაიღალა, მუხლები მოეკვეთა და ბავშვიანად ჩაჯდა გზაში. ლეკებმა გულქანას დაღალვა ბავშვის ტარებას დააბრალეს, გამოართვეს შვილი და თითონ მიჰყავდათ, მაგრამ ბავშვი დედას რომ ჰხედავდა, უცხოს ხელში ხმა-მაღლა სტიროდა. ბავშვის ტირილზედ ლეკებს ეშინოდათ, გული მოუვიდათ, აიყვანეს გასუქებულ-გათითქინებული ბავშვი და ლაყას კვერცხივით დაარტყეს და დაანარცხეს დედამიწაზედ დედის თვალ-წინ... გულ-დაწყვეტილი დედა მივარდა შვილს, კრუხივით გადაეფარა, მიიკრა გულში, მაგრამ ამაოდ, ბავშვმა საჩქაროდ სული დალია დედის კალთაში. ამ შემთხვევამ ლეკების მოგზაურობა სამის საათით დააგვიანა.

გულქანა ორმოცი წელიწადი დარჩა ლეკებში. ამ დრის განმავლობაში ათჯერ გაჰყიდეს და იყიდეს ლეკებმა, რადგანაც ვერც ერთი მყიდველი ვერა სარგებლობდა იმისის სიყვარულით და ყმაწვილი ქალი არავის იკარებდა ახლო. როდესაც სამოცის წლისა გახდა და მოხუცებაში შევიდა, სამსახური და შრომა აღარ შეეძლო. ამისათვის განათავისუფლეს და ხელ-შეუშლელად დადიოდა აქეთ-იქით ლეკთა სოფლებში. ქართული ლაპარაკი თითქმის დაავიწყდა და ლეკურად კარგად ლაპარაკობდა. სიარულსა და ხეტიალის დროს მუდამ იმასა ჰფიქრობდა, როდის მეღირსება გავიპარო როგორმე და სახლში წავიდეო. იპოვნა ერთი მგზავრი მოხუცი, გამოიპარა და დიდის წვალებასა და სიარულს შემდეგ მოვიდა თავის სოფელს ტეზერში, მოვიდა იმ სახლში, სადაც იმისი ქმარი სცხოვრობდა. დაუძახა მოსახლეს ქართულად ლეკურის კილოთი. ამის ძახილზედ გამოვიდა ოჯახიდგან ერთი დედაკაცი და შეეკითხა.

— ვინ ხარ და რა გნებავს?

გულქანამ შეეხვეწა და ხსნა სთხოვა ღამის გასათევად. დედაკაცმა შეიფრდომა. დაღამდა მამაჩემიც სამუშაოდგან დაბრუნდა. ვახშამი სჭამა და სტუმარსაც აჭამა. ვახშმობას შემდეგ მამიჩემის მეორე ცოლმა ლოგინი დააგო, ბავშვები ჩააწვინა და თითონაც მიიძინა. მამაჩემმა და მგზავრმა ქალმა ნავახშმევს საუბარი გაჰმართეს და ამ საუბარში ერთი-ერთმანეთს თავისი თავ-გადასავალი უამბეს. ამ ლაპარაკით მამაჩემი დარწმუნდა, რომ ეს მგზავრი ქალი იმის წინანდელი ცოლი გულქანა იყო, ის გულქანა, რომელიც ორმოცი წელიწადია ლეკებმა მოიტაცეს და დაიკარგა ბავშვითურთო. მიხვდა-კი, მაგრამ თავი შეიკავა, აღარაფერი სთქვა, რადგანაც მეორე ცოლი ჰყავდა, და სიჩუმეს მისცა თავი. გულქანას გული ამ დროს კანკალებდა და ძგი-ძუგი გაჰქონდა, იგი გაჩუმებული იყო და აღარაფერს ამბობდა. მოთმინებას ბოლო მოეღო. მკვარიც ის-ის არის კერაზედ ჩაქრობას აპირებდა. ეღარ აიტანა გულქანამ, ტირილი ამოსქდა გულიდგან, გადაეხვია მოხუცს და შესძახა:

— ნუ თუ ეღარა სცნობ შენს ერთგულს, შენს საყვარელს ცოლს გულქანასაო?

ამ სიტყვებზედ მამაჩემსაც გული გადმოუქანდა და ამანაც ტირილი დაიწყო. ამ სახით მამაჩემს ამას შემდეგ ორი კანონიერი ცოლი ჰყავდა და ამ ორ ცოლთან სცხოვრობდა დინჯად ტკბილად და სიამოვნებით.

სააბაშიძელი

◆◆

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდამ)

ბ-ნ ი. გ. ვახრამოვის ფოთში ქალაქის თავად ამორჩევამ მარტო გორი-კი არ დაანაღვლიანა, ადგილობრივს გაზეთებში საპოლემიკოდ გაჰხადა საქმე და, ამას გარდა, ორ ქართველ შორის სამედიატორიოდაც-კი გაამწვავა საგანი. როგორც მკითხველებსაც მოეხსენებათ, ფოთის ქალაქის თავის თანამდებობაზედ სამმა კაცმა იყარა კენჭი: ი. გ. ვახრამოვმა, თ. დ. ე. დადიანმა და ი. მ. მეუნარგიამ. პირველს 27-ში 17 თეთრი კენჭი ამოუვიდა, მეორეს—12 და მესამეს—9, ასე რომ ფოთელებმა ყველას ვახრამოვი ამჯობინეს. ამ არჩევანამდე ქალაქის თავად თ. ნ. ა. თავდგირიძე იყო და თ. თავდგირიძემდე-კი იგივე ბ-ნი ვახრამოვი, რომელიც ეხლა კვლავ აირჩიეს. უკანასკნელს არჩევანებს შემდეგ გაზ. „Новое Обозрѣніе“-ში მეთაური წერილი დაიბეჭდა, რომელშიაც სხვათა შორის აი რა იყო ნათქვამი:

ამ ოთხის წლის წინად ფოთელებმა განათავისუფლეს ი. გ. ვახრამოვი ქალაქის თავის თანამდებობისაგან და თავისის მივიწყებულ ქალაქის საკეთილდღეოდ ძებნა დაუწყეს „ახალგაზდა განათლებულსა და ძალ-ღონით სავსე კაცს“, ისეთს კაცს, რომ ქალაქის ავ-კარგიანობისათვის ზრუნვა შესძლებოდა. აი ამ საფუძვლით არ ინდომეს ი. გ. ვახრამოვიცა და ნ. ა. შავროვიც და ამათ მაგიერ ამოირჩიეს ფოთელებისათვის სრულიად უცნობი თ. ნ. ა. თავდგირიძე. ეს უკანასკნელი უმთავრესად უფრო იმიტომ იქმნა არჩეული, რომ ხმოსნები ენდნენ იმის „უმაღლესს განათლებას“, ახალგაზდობასა და პატიოსანს სახელს.

შემდეგ მეთაური წერილი ამბობს, რომ სამწუხაროდ, ეს იმედი ფოთელებს არ გაუმართლდათ, ქალაქის საქმეების მდგომარეობა ამ არჩევანს შემდეგაც, 1887—1890 წწ. არაფრით განუკეთესებულა. საქმის განუკარგებლობის მიზეზად ფოთელები ზოგნი იმას ასახელებდნენ, რომ ახალი ქალაქის თავი გამოუცდელი კაცია, ზოგნი იმას, რომ ავადმყოფობს და საქმეებისთვის ვერ იცლისო, მაგრამ, როგორც ვიცით, ხალხს ნამდვილის მიზეზის გამოძიება და გამოკვლევა არ უყვარს, და ამიტომ ამ შემთხვევაშიაც მიზეზთა მიზეზის გამოძებნისათვის არავის შეუწუხებია თავი. „განათლებულმა“ კაცმა ვერ გაუმართლა იმედი ფოთელებს და აი სწორედ ამის გამო, თ. ნ. ა. თავდგირიძის ავადმყოფობის წყალობით, ახალს არჩევანებზედ დაისაჯნენ თ. დადიანი და ბ-ნი მეუნარგია, მათთან ერთად მთელი ინტელიგენციაც, და ბ-ნი ვახრამოვი იქმნა ამორჩეულიო. დასასრულ წერილი დასძენს:

ინტელიგენციამ ეხლა მაინც უნდა შეიგნოს, რომ თუ მკვიდრი იმათ ირჩევს, ირჩევს მხოლოდ იმ იმედით, რომ ქვეყნის სასარგებლოდ იგულსმოდგინებენ და ილვწვიანო. რაკი ამ სარგებლობას ვერა ჰნახავს, საზოგადოება ზურგს შეაქცევს არამც თუ რჩეულთ, არამედ თითქმის მთელს ინტელიგენციასაც. მაშასადამე, აშკარაა, მჭიდრო კავშირი ჰსუფევს ინტელიგენციის ინტერესებსა, ან ღირსებასა და იმ მის წარმომადგენელთა მოღვაწეობას შორის, რომელნიც საზოგადოების ნდობას და არჩევანს ეღირსნენ... ტყუილად ჰგონიათ ამ წარმომადგენელთ და ტყუილად ამბობენ,

---

თავ-მოწონებული, ამაყ ცურ-პეკა მიდიოდა და თავის ერთგული ამხანაგი ბოთევრაც თან მისდევდა.

მეორე დღეს ისევ გამოჩნდა ბოქაული, ხოლო ეხლა-კი თან კეტით შეიარაღებული ოცი გლეხი მოჰყვა. მოჰყვა-კი, მაგრამ ვერა გააწყვეს რა, მოსულებს დაუხვდა ცურ-პეკა და კიდევ ათი გმირი მეცხვარე, რომლებმაც, მტრის დანახვისათანავე, დანებზედ გაიკრეს ხელები...

ერთის კვირის შემდეგ მივიდა მინდორში ვიღაცა გლეხი და უთხრა ცურ-პეკას, რომ ავადმყოფი დედაშენი სოფელში ჩამოვიდა და შენი ნახვა ჰსურსო.

ამ ამბავმა ძალიან დააფიქრა მეცხვარე, მერე გაილიმა, დახალა დედამიწას ქუდი და დაიძახა: ბოთევრ! შემდეგ ამისა გადიგდო მხარზე გუდა და შემოსძახა: „ჰეი, ჩემო მინდვრებო, განივრებო“. ეს ორი განუშორებელი მეგობარი გაჰყვა გლეხს სოფლისაკენ. ცურ-პეკა უფრო და უფრო შორდებოდა თავის ცხვრის ფარას. სულ ბოლოს იმის ქუდი-ღა მოსჩანდა შავად... მაბრუნდა უკან, გადახედა გამოსალმების თვალით ფარას, ღრმად ამოიოხრა და განაგრძო თავისი გზა.

დილა იყო, როდესაც მეცხვარე მიუახლოვდა სოფელს. ბრწყინვალე მზე ნახევრად ანათებდა სახლების სახურავებს; ხშირი, ტრედის ფერი ნისლი ნელ-ნელა იშლებოდა. თეთრად გალესილი ჩალის სახურავებიანი სახლები აქა-იქ მოჩანდა ბაღჩებიდგან, რომლებზედაც მარგალიტსავით ასხმული იყო ნამის ცვარი. სოფელმა გაიღვიძა და ბუხრებიდგან ბოლმაც დაიწყო დენა; გააღეს ალაყაფის კარები და შეიქნა პილოსკების ღრიჭინი; სოფლელები მინდვრისაკენ მიდიოდნენ, მენახირეები ძროხას მინდორში ერეკებოდნენ.

მზემ მთლად ამოანათა, ნისლი გაიფანტა და გამოჩნდა სარკესავით მდინარე. მდინარის იქითა კიდეზე ხშირი ტყე გაჰშლილიყო. წყლის პირზე ედგა ბატებს პატარა ქერა, თეთრ-თმიანი გოგონა, ლერწმის ფოთლის იხვებს აკეთებდა და წყალში უშვებდა. დაინახა თუ არა მეცხვარე, შეჰქნა ერთი ბღავილი: „მეცხვარე, მეცხვარე მოდისო!“ და სწრაფად გაქანდა შინისაკენ; ძაღლებმა ბოთევრას დანახვაზე კაპა-კუპი აუტეხეს კბილებს. სოფლელები ისე შესცქეროდნენ მეცხვარეს, თითქოს პირველად ენახათო; ბავშვები დედის კაბის კალთებში იმალებოდნენ, პერანგების სახელოებს პირში იჩრიდნენ და შუბლ-შეკრულები გაიყურებოდნენ. ორი გასათხოვარი ქალი იდგა ღობის უკან და ჩურჩულებდა:

— რა ყოჩაღის, რა წამოსადეგის ტანისაო! ეუბნებოდა ერთი მეორეს.

— ტანი რა, შენ იმის თვალებს შეჰხედე! ულვაშები!

— გმირია სწორედ, ჩვენს ახალგაზდებს კი არა ჰგავს.

— რაღა ქება უნდა, არწივია, არწივი.

— აი მაგისთანა ლამაზი ქმარი უნდა მყავდესო? უნებლივ წამოსცდათ ორივე ქალს ერთად.

მეცხვარემ გადაჰკრა ქორებრივი თვალი ქალებს, იმათაც შერცხვათ და სახლს მოეფარნენ.

ერთი სოფლელი შეჩერდა, გაზომა თვალით მეცხვარე გოლიათი და, „აბა, ვაჟკაცი ეს არისო, აი!“ წამოიძახა. შემდეგ გააფურთხა და რაღაცა გაილანძღა. ეტყობოდა, რომ ამით ქება უნდოდა ეთქვა და შეემკო მეცხვარის წარმოსადეგობა. მეცხვარე დადგებოდა ხოლმე და ხალისიანად ათვალიერებდა უცნაურ სოფლის სხვა-და-სხვა საგანს. როგორღაც ეხამუშებოდა იქ ყოფნა და ისე ფრთხებოდა, როგორც ხაფანგში გაბმული მგელი. გლეხმა მეცხვარე მიიყვანა ერთ დიდ სახლთან, რომელსაც წარწერილი ჰქონდა: „სოფლის სასამართლოო“. მეცხვარე შევიდა სახლში.

— რისთვის მობრძანებულხარო? ჰკითხა მამასახლისმა.

— აქ, ამბობენ, დედაჩემია... სუსტად არის... მოვედი.

— მანდ ეზოში მოიცადე...

ცურ-პეკა გამოვიდა და ჩამოჯდა სკამზე, ძაღლი ფეხთ დაუწვა. მაყურებელი ხალხი ბევრი წამოადგა თავს, მაგრამ მეცხვარე არავისა ჰხედავდა, თავი ჩაეღუნა და მიწას ჩასცქეროდა.

ამ დროს ეზოში შემოვიდა ეტლით უკვე ცნობილი ბოქაული. მეცხვარეს ცუდად ენიშნა ამის მოსვლა. ბოთევრამ ღრინვა დაიწყო.

— შეჰკარით! დაუყვირა ბოქაულმა გზირებს და ცურ-პეკა ანიშნა.

ადგილიდგან არავინ დაძრულა.

— მაშ დედაჩემი აქ არა ყოფილაო? ყრუდ წარმოსთქვა მეცხვარემ, თავი დაბლა დაუშვა და გუდა ხელიდგან გაუვარდა.

გზირები მიუახლოვდნენ. ბოთევრამ კბილები დაკრიჭა.

— თეო! ჩააჩუმა ძაღლი მეცხვარემ.

შეჰკრეს ცურ-პეკა და არც ის ეწინააღმდეგებოდა. იმ დროს მეცხვარე, გაველებულ, თავისუფალ მინდვრის მცხოვრებლის-კი არა, უძლურს ბავშვს ჰგავდა. ბოთევრასაც რაღაცა დაემართა: ის იყო კუდ-მოგრეხილი და კისერ-გამოწვდილი, თითქოს ისიც თხოულობს, მეც შემკარითო.

ბოქაულის ბრძანებით ცურ-პეკა სახლში შეიყვანეს და ძაღლი-კი ეზოში დასტოვეს.

სასამართლოში გამოჰკითხეს ვინაობა, სწერეს და ლაქაზედ ბეჭედიც დაასვეს.

როდესაც მეცხვარე ისევ ეზოში გამოვიდა, აჩქარებით ათვალიერებდა თავის ერთგულ მეგობარს.

ვითომ მარტო ისინი იყვნენ „პასუხის-მგებელნი", მარტო იმათ გადახდეთ თავიანთის შეცდომის გადასახადი: სასჯელი გაცილებით მძიმეა. იმათი საქციელი ნელ-ნელა ძირს უთხრის იმ ზნეობრივს ნდობას, რომელსაც თითქმის ფეხი აქვს მოკიდებული მკვიდრს შორის „უმაღლეს განათლების" მქონეთა მიმართ...

ამ წერილმა ტფილისის ერთს რუსულს გაზეთში გამოიწვია მეორე წერილი თ. ნ. ა. თავდგირიძისი. აი რასა სწერს თავდგირიძე:

„გაზ. „Нов. Обоз."-ის მეთაური წერილი იმ ბრალსა მდებს, ვითომ მე ჩემის სამსახურით ფოთის ქალაქის თავად მყოფობის დროს იქამდე მივიყვანე საზოგადოება, რომ მან ზურგი შეუბრუნა მთელს ინტელიგენციას. მკითხველი დამეთანხმება, რომ ამაზედ დიდი ბრალი ძნელად წარმოსადგენია. ხოლო, ვინაიდგან ხელთა მაქვს დაურღვეველი საბუთები წინაამდეგ აზრის დასამტკიცებლად, ჩემს თავს ნებას ვაძლევ ზემოხსენებულს წერილს სიცრუე ვუწოდო და წერილის ავტორის სიტყვებსკი, ვითომ თ. დადიანი და მეუნარგია ჩემის ავადმყოფობის გამო დასჯილიყვნენ.—ზნეობრივი სიყალბე. ამ შენიშვნის ავტორი, როგორც სარწმუნო წყაროდგან შევიტყე, „Нов. Обоз."-ის ხელ-მძღვანელი ნ. ი. ნიკოლაძეა. ამის გამო მე მსურს ჩემსა და ბ-ნ ნიკოლაძეს შორის მედიატორები ავარჩიოთ ამ აურზაურის გასარჩევად და იმან განგვასამართლოს. თუ, ვინ იცის, ბ-ნი ნიკოლაძე სისხლის სამართალს ირჩევს, მაშინ ხომ ამის შესახებ ლაპარაკი მეტია. ხოლო თუ დათანხმდა, ჩემის მხრით მედიატორებად ვირჩევ: გრ. ვოლსკის, გქიმს თოფურიასა და ვ. რ. ყიფიანს; ბ. ნმა ნიკოლაძემაც თავის მხრივ სამი კაცი ამოირჩიოს; მეშვიდედ, საერთო მსაჯულადკი ამ საქმეში მე გიორგი ზდანოვიჩს ვამჯობინებ; თუ ამისი თანახმა არ გახდა ბ-ნი ნიკოლაძე, მეშვიდე დეე ექვსმა მედიატორემ ამოირჩიოსო.

ფოთის ქალაქის თავი ნ. თავდგირიძე".

ამ წერილს თ. თავდგირიძე დასძენდა, რომ ჩემის წერილის პასუხს გაზ. „Нов. Обоз."-ის უუმახლოებლეს ნომერში მოველითო, და მოლოდინი არც გაუმტყუნდა. ზემოხსენებულ გაზეთის დღევანდელ ნომერში დაბეჭდილია საპასუხო წერილიც, რომელიც აქ სრულიად მოგვყავს:

„თუმცა ი. თავდგირიძის წერილის კილო არ შეესაბამება იმ კილოს, რა კილოთიც იწერება საზოგადოდ ამ გვარი წერილები, არ შეესაბამება აგრეთვე არც ჩემის წერილის კილოს და არც თ. თავდგირიძის მდგომარეობას და თუმცა ამის გამოიხობით ნება მქონდა სრულიად უყურადღებოდ დამეტოვებინა იგი, მაგრამ მაინც ჩემს მოვალეობად ვსთვლი პასუხი ვაგო და მის წინადადებაზედ სრულიად დავეთანხმდე.

„რაც შეეხება მედიატორების ამორჩევას, თუმცა საზოგადო მსაჯულის ამომრჩეველი ჩვეულებრივ თვით მედიატორების საქმეა, მაინც სიამოვნებით ვეთანხმები მის მიერ დასახელებულ კაცის ამორჩევას, გ. ფ. ზდანოვიჩისას. მედიატორებად-კი ჩემის მხრივ ვნიშნავ ქუთაისის გუბერნიის თავადაზნაურობის წინამძღოლს თ. ს. გ. წერეთელს, ქუთაისის ქალაქის თავს ლ. ნ. ასათიანს და თ. კირ. ბ. ლორთქიფანიძეს, რომელთაც ვთხოვ პატივი მცენ და ეს საქმე კისრად იდონ.

„იმის გამორკვევა-კი, რა გვარად უნდა გაირჩეს ეს საქმე, რა უფლება ჰქონდეს მიჩემებული სამედიატორო სასამართლოს და საზოგადოდ ყველა იმ საკითხთა უაპელაციოდ გადაწყვეტა, რომელნიც შეხამლებელია აღიძრას, მამინდვია იმავ სამედიატორო სასამართლოსთვის, რომლის განაჩენი გამოქვეყნებულ უნდა იქმნას.

ნ. ნიკოლაძე".

საქმე ამ ჟამად ამაზედ არის შემდგარი, ორივე მხარემ მედიატორეები ამოირჩია და ეხლა ისინი არიან მტყუანისა და მართლის გამომძიებელნი. ვნახოთ, რა გამოვა რისაგან.

## უცხოეთი

ინგლისი. 4 თებერვალს ჯონ მორლეიმ წარუდგინა პარლამენტს წინადადება იმ განსამართლების გამო, რომლითაც დასჯილ იქმნა დილლონი და ო'ბრიენი. წინადადებაში იყო ნათქვამი, რომ მთავრობის საქციელი ამ საქმეში ირლანდიელებს უკარგავს ნდობას მართლ-მსაჯულებისას და აბათილებს სამოქალაქო და საპოლიტიკო უფლებას ირლანდიელ მოქალაქეებისასაო. ეს წინადადება უნდა წარდგენ-და პარლამენტს ჯერ ისევ შარშან შემოდგომაზედვე, მაგრამ მაშინ, სხვა-და-სხვა მოსაზრების გამო, ვერ მოხერხდა. წელს-კი მორლეიმ გამოაცხადა, რომ, დაიწყებს თუ არა მოქმედებას პარლამენტი, იმ ჩემს წინადადებას წარვუდგენო. მთავრობამ ითხოვა, რომ მავ სავანზე სხვა გადაიდოს ცოტა ხანს კიდევ, ვიდრე ირლანდიის შესახებ ერთ ერთს კანონპროექტს განვიხილავთო, ოპოზიციამ შეიწყნარა ეს თხოვნა. და აი, როცა გათავდა განხილვა ზემოხსენებულის კანონ-პროექტისა, გათავდა მოლაპარაკება ბულონში პარნელისა და მაკ-კარტის მეთაურობის გამო, დაინიშნა დღე მორლეის წინადადების განსახილველადაც. მორლეიმ უამბო ჯერ პარლამენტს, როგორ იყო საქმე დილლონისა და ო'ბრიენისა ტიპერარში და დაუწყო შემდეგ სასტიკი კრიტიკა მთავრობის საქციელს. ირლანდიის პოლიცია მეტად უზრდელად და თავნებად იქცევაო, მოსამართლენი თავიანთ დასის მომხრეობას უფრო იჩენენ, ვიდრე მიუკერძოებლობასა და სიმართლის მოყვარეობასაო. ბოლოს ურჩია პარლამენტს, რომ გამოუცხადეთ თქვენი უნდობლობა სამინისტროსაო. ამას შემდეგ უნიონისტმა როსსელმა მორლეის წინადადების წინააღმდეგი აზრი წარუდგინა პარლამენტს. მაშინ გლადსტონმა გაუწია მომხრეობა მორლეის წინადადებას და იმან უფრო სასტიკად გაჰკიცხა ახლა მთავრობა. „თუმცა მთავრობის მომხრენი თანდათან ცოტავდებიანო, სთქვა გლადსტონმა, მაინც არც ისე ნაკლებნი არიან, რომ თავიანთი ვერ გაიყვანონ და როსსელის წინადადებას არ გაამარჯვებინონ. ასეთი გამარჯვება ადვილი საქმეა პარლამენტში, მაგრამ ძნელია მის გარეშე. მთავრობა ისე იქცევა, რომ ერი აღარ უწევს მომხრეობას; კერძო არჩევნებმა ზედი-ზედ დაამტკიცა, რომ სამინისტროს დამხობა აუცილებელი საქმე შეიქმნა. თანდათან უფრო მრავლდება რიცხვი იმ საბუთისა, რომელიც ამტკიცებს, რომ ბრიტანიის ერმა გადასწყვიტა იზრუნოს თავის ირლანდიის თანამოძმეთა და თანამოქალაქეთათვის და მიანიჭოს იგივე საპოლიტიკო უფლებანი, რომელიც თითონ აქვსო". გლადსტონის სიტყვამ გამოიწვია დიდი ტაში კვრა ოპოზიციის მხრით. სამინისტროს პოლიტიკის დასაცველად ილაპარაკეს სმიტმა და ბალფურმა. ბალფურმა სთქვა, სხვათა შორის, რომ მთავრობა არა სწუხს, რაკი კერძო არჩევნები მის სასარგებლოდ არ გათავდაო. მთავრობა დარწმუნებულია, რომ ბოლოს მაინც გამარჯვება მისკენ იქმნებაო. გარკურსა და მაკკარტის ლაპარაკს შემდეგ წინადადება მორლეისა უარ-ყოფილ იქმნა 320 ხმის უმეტესობით წინააღმდეგ 245 ხმისა. ირლანდიის დასის ორმავე ფრაქციამ თითო კენჭი მისცა მორლეის წინადადებას. როსსელის კონტრწინადადების განხილვა შემდეგის კრებისათვის იქმნა გადადებული.

## წვრილი ამბები

ინგლისის რამდენსამე სამხატვრო ჟურნალში დახატულია ვიცე-კოროლი ირლანდიისა, რომელიც აურაცხელ მაყურებელთა თვალ-წინ მადიანად ჰკოცნის დამაზსა და მოხდენილს ახალგაზდა ცუგრუმელა ქალს, საბალო ტანისამოსით მორთულს. სცენა სწარმოებს დუბლინის სიმაგრეში. საქმე იმაშია, რომ, თუმცა წეს-წყობილება და სამართალი ამ ქვეყანაში შეიცვალა, მაგრამ შეუცვლელად დარჩა ერთი ძველი ჩვეულება, რომლის ძალითაც ყველა ახალგაზდა ქალმა, როცა ქვეყანაში ახლად გამოდის, დუბლინის სიმაგრეში უნდა აკოცნინოს ვიცე-კოროლს. კოროლიც ამ ძველის-ძველის ჩვეულებით სარგებლობს და ძალიან მაგრად ჰკოცნის ქალს.

— ამ სანად ლორდ ჩერჩილს ერთი ახირებული ამბავი დაემართა. ჩერჩილს ისეთი დიდი ულვაშები აქვს, რომ ამ მხრით ეს პატივცემული ლორდი ზღაპრის გმირებს მოაგონებს ადამიანს. სახუმარო ჟურნალმა „პონჩა"-მ არა ერთხელ აიგდო სამასხაროდ ჩერჩილის ვეებერთელა ულვაშები და არა ერთხელ დახატა თავის №-ში ეს კაცი ამ არა-ჩვეულებრივის ულვაშებით. ჩერჩილს უმისოდაც დუხჭირი სახე აქვს და ეს თითოკონა ულვაშები ხომ სრულიად ადუხჭირებს. ამას წინად ჩერჩილმა, რომელიც საზოგადო წესსა და რიგს მაინც და მაინც არ დასდევს, ინგლისელთა ჩვეულების წინააღმდეგ წვერიც მოუშვა, რის გამო შეხედულება სრულიად გამოეცვალა. ამას შემდეგ საზოგადოებათა პალატაში კრებაზე უნდა დასწრებოდა, მაგრამ მეკარემ არ გაუშვა, „თქვენ სრულიადაც ჩერჩილი არა ხართო". საქმე იქამდე მივიდა, რომ ლორდმა აჩვენა თავისი კარიკატურა „პონჩა"-ში დახატული. მეკარე ამითაც არ დარწმუნდა და „თქვენ შეშლილი უნდა იყოთო", უთხრა ჩერჩილს. ამ ნაირად ლორდს იმდენი ლაპარაკი მოუხდა მეკარესთან თავის ვინაობის დასამტკიცებლად, რამდენიც პალატაშიაც არ მოუხდებოდა თავის უფლების დასაცავად. შეიძლება ასეთი კომედია კიდევ მათამაშოს ვინმემო, იფიქრა ჩერჩილმა, და იმავე დღეს მოაპარსვინა წვერი.

— წარსულის დეკემბრიდამ ლინკოლინის საგრაფოში გაჩნდა აუარებელი გუნდი კირთაგვებისა და ბევრი ზარალი მიაყენა იქაურს მამულეთ, რომელნიც თითო კირთაგვას მოკვლაში 6—7 კაპ. იძლევიან. ამის გამო მონადირენი ერთმანეთის გაჯიბრებით ბევრს ჰკლეტენ ამ მავნე ნადირს. მაგალითად, ერთმა მონადირემ ერთის თვის განმავლობაში ხუთი ათასამდე კირთაგვა დახოცა და ამისათვის 350 მან. აიღო.

— ამ რამდენისამე დღის წინად მადრიდში ხმა დაჰგდეს, რომ აქ გერმანიის იმპერატორი მოვიდა, მაგრამ არ ამჟღავნებენო. მადრიდის მცხოვრებთ ეს ამბავი დაიჯერეს და სადამოს აუარებელი ხალხი მიაწყდა სასახლეს, რომ აგებ იმპერატორი დავინახოთო. სასახლის კარის-კაცნი ამაოდ არწმუნებდნენ ხალხს, რომ ტყუილია ეს ამბავიო. არავინ ადგილიდგან არ იძროდა, მანამ შუაღამე არ გადავიდა. მაშინ-ღა დარწმუნდნენ, შევმცდარვართ, ფეხის ხმას აყოლილვართო და წავიდ-წამოვიდნენ. ადგილობრივმა გაზეთმა „Imperial"-მა ეს ამბავი ხელზედ დაიხვია და მეორე დღეს ანგარიშიც-კი დასწერა იმისა, თუ რის შესახებ საუბრობდნენ ერთმანეთში იმპერატორი გერმანიისა და სახალხო განათლების მინისტრი. იმპერატორმა უთხრა მინისტრს, რომ საერო განათლების საქმე ისპანიაში ისეა მოწყობილი, რომ სხვა სახელმწიფო ვერაფერს წასაბაძავს მაგალითს ვერ იპოვისო. ამის დასამტკიცებლად იმპერატორმა ათას გვარი ნაკლი და წუნი დაასახელა ისპანიის სკოლებისაო.

## დეპეშა

13 თებერვალი

პეტერბურგი. ბრძანება გამოიცა, რომ ჯარის-კაცთ ქურებში სრულიად

---

— ბოთეერ, ბოთეერ! ეძახდა იგი თავის ამხანაგს.

შესაბრალისი წმუკუნი გამოისმა გომიდგან: ბოთეერა დატუსაღებული იყო. მეცხვარემ თვალებიდგან ცეცხლი გაჰყარა, კბილები დააკრაჭუნა და პირი-სახე მთლად დაელმიჭა. წაიწია წინ, მაგრამ კეტებით შეიარაღებული გზირები გარს შემოერტყნენ და სამაზრო ქალაქში წაიყვანეს. მთელი გზა ისე გაიარა ცურ-პეკამ, რომ არავინ დაუნახავს.

— ბოთეერა ჰღმუის... მოჰკლავენ, მოჰკლავენ! უტრიალებდა თავში დაღლილსა და დაქანცულ მეცხვარეს.

ქალაქში სასამართლოს გამომძიებელთან რაღაცეების გამოკითხვა დაუწყეს, დასწერეს ქაღალდები და ისევ გაისტუმრეს.

ცურ-პეკა გაკვირვებული იყო და ჰფიქრობდა, რას მიშვებიან, ან რითი უნდა გათავდეს ეს საქმეო. ბოლოს მიიყვანეს დიდ და წითელ ორ-სართულიან სახლთან. მძიმე რკინის კარი ჭრიალით გაიღო და მეცხვარე შიგნით შევიდა. ისევ მიკეტეს და მით მოუსპეს მინდვრის შვილს მინდორში ცხოვრება. როდესაც აქაც დასწერეს, მაშინ ხელები გაუხსნეს და გაგზავნეს ტუსაღების საერთო დარბაზში... პატიმარებმა ახლა იმაზედ გააბეს საუბარი: ყველას უკვირდა მისი ავებულობა და ტანადობა. ცურ-პეკა ჩამოჯდა და გულ-მაჭიწყად აცეცებდა თვალებს, გარშემო ტუსაღები იცინოდნენ.

— არა უშავს-რა, შეეჩვევაო! იოხუნჯა ცხენი-პარია ბოშმა.

სიცილი აუტყდა ყველას. ცურ-პეკა წამოდგა, ტუსაღების ჯგუფმა გაიწია და მთლად აღშფოთებული მეცხვარე კარებისკენ წავიდა. თვალებიდგან ცეცხლის ნაპერწკლებს ჰყრიდა, ტუჩები ნაცრის ფრად ჰქცეოდა. ყველამ სული განაბა და ელოდდა, ენახოთ რა მოხდებაო.

— საით მიძვრები? რას სულელობო? შეუტია კარების დარაჯმა და ზურგში წაჰკრა მეცხვარეს. პაერში გაიელვა კარგა მომსხო მუშტმა და საპატიმროს დამცველი დარაჯი ლაზათიანს მანძილზე გადავარდა. ამ საქციელის შემდეგ ცურ-პეკა აიყვანეს ზევითა სართულში და მარტოკა დაამწყვდიეს.

ავერ მესამე თთვე გადის მას აქეთ, რაც მინდვრის შვილი—მეცხვარე ციხეში დამწყვდეულია და ჯერაც არ იცის, რად დასაჯეს, რად გააშორეს მინდორს.

— როდის განმათავისუფლებენო? ერთხელ როგორღაც ჰკითხა მეცხვარემ თავის მოძმეს (კარის დარაჯს).

—ღმერთმა იცის! როდესაც სასამართლო გადასწყვეტს, მაშინაო, უპასუხა მან.

მაგრამ ცურ-პეკამ-კი ვერა გაიგორა. „სასამართლო"-ც ისევე ესმოდა ცურა-პეკას, როგორც „ბილეთი"...

ღამეა. ყველას სძინავს. სიჩუმეა ირგვლივ, მხოლოდ დარაჯის ფეხის ხმა მოისმის და მისივე ძახილი: „ვინ მოდისო?" მეცხვარეს არ ეძინება. ოდნავ კვნესის. ჩალაზე წევს, იტანჯება და სული უგუბდება. გამხდარსა და ავადმყოფს გულს სამშობლოს მინდვრის წუხილი უკლავს, ორი დღეა დარდით არა უჭამია-რა.

— ბოთეერ... რა მოუვიდა? ნეტა მანახა და ერთხელ კიდევ ამომასუნთქებინა მინდვრად!.. და მერე, მერეკი...

გარინდებულ ცურ-პეკას ელანდებოდა, ვითომ მწვანე ბალახზე იჯდა, სალამურს უკრავდა, ბოთეერა და ვაცი-კი ეთამაშებოდნენ... გარშემო ცხვრები ეხვია... „შენი ბილეთი?" ყურში გასწივლა ცურ-პეკას ბოქაულის ხმამ... რისთვის მტანჯავენ? რისთვის ჩამაგდეს აქ, რისთვის მომაშორეს ბოთეერას? ჩემთვის ვცხოვრობდი, კარგად ვუყავით მე და ბოთეერა. ეხლა-კი ხელები მიკანკალებს, მკერდი ჩამივარდა... აქ სული უგუბდება ადამიანს, მინდორში-კი ადვილად იბრუნებს სულს. ბოთეერა, საწყალი ბოთეერა!.. ისიც დაამწყვდიეს... ღმერთმა იცის როგორა ღმუის... მეცხვარე წამოხტა, ოთახის შუაგულ დადგა და ამღვრეულის თვალებით ფანჯარას მიატანა.

ამოვანათა მთვარემ... შორიდგან გრძელი და განიერი მინდორი მოჩანდა...

— ღმუის!.. ღმუის!.. ბუტბუტებდა თავის თავად ცურ-პეკა. განიერ შუბლზედ ჭირის ოფლმა დაასხა.

— ღმუის!.. ბოთეერაა!..

შეშლილსავით ეძგერა მეცხვარე ფანჯარას, მოჰკიდა ხელები რკინის მართულებსა და რამდენჯერმე გასწივ-გამოსწია. რკინის მართულები შეიძრა... ორი-სამის წამის შემდეგ ცურ-პეკა ციხის კედელს გადასცდა კიდეც. შორი-ახლოს მართლა ბოთეერას ღმუილი მოისმოდა. მეცხვარე ღმუილის ხმაზედ გარბოდა... ციხის დარაჯმა, ჯარის-კაცმა მოსხლიტა თოფის ჩახმახი, გავარდა თოფი, მეორე... მესამე... ციხემ გაილვიძა, დაფაცურდა.

დაღრღნილ თოკიან კისერ-შებმულ კისრით გამხდარი ბოთეერა მივარდა მეცხვარეს და ორი მეგობარი გადაეხვია ერთმანეთს.

— ჩქარა, ჩქარა, მინდორში წავიდეთ!.. მოიცა... სული მიგუბდება... რაღაცა მჩხვლეტს... ბარბაცით წარმოსთქვა ცურ-პეკამ და, როგორც ძნა, ისე გაიშალა მიწაზედ.

გაქცეულს გამოუდგნენ ციხიდგან, მაგრამ მეცხვარე მკვდარი-ღა იპოვეს. ბოთეერას ბანჯგვლიანი თავი თავის უბილეთო მეგობრის მკერდზე ედო, სწორედ ნათოფარს ალაგას, და ღმუილი გაჰქონდა...

ალეკრძალოს თამბაქოს წევა. ხოლო აფიცერნი იმის შესახებ თუ, სად შეიძლება და სად არ შეიძლება თამბაქოს მოწევა, უნდა დაემორჩილნენ პოლიციის განკარგულებას.

გუშინ მიხეილის სასახლეში საგეოგრაფიო საზოგადოებას სადღესასწაულო კრება ჰქონდა. კრებაზე საფრანგეთის მოგზაურმა ბანვალლომ მოხსენება წაიკითხა თავის მოგზაურობის შესახებ ტიბეტში 1889 და 1890 წწ., როცა ისა და პრინც ჰენრიხ ორლეანელი ერთად დამოგზაურობდნენ ამ ქვეყანაში. ბანვალლომ, სხვათა შორის, მოიხსენია, რომ რუსეთის მოგზაურთ დიდი სამსახური მიუძღვით ქვეყნიერობის წინაშე, რადგანაც იმათის მეოხებით განათლებულმა ქვეყნებმა გაიცნო საშუალო აზია. ამასთანავე აღნიშნა, რომ რუსეთს შეუძლიან დაუბრკოლებლივ გადაიდეს ლობ-ნორიდამ ხლასამდე და ამ ნაირად პირდაპირი მიმოსვლა იქონიოს საფრანგეთის სამფლობელოში ისე, რომ ჩინეთისა და ინგლისის სამფლობელოს ასცდესო. ტიბეტის მთავრები რუსეთის გავლენას დაჰმორჩილდებიან, რადგანაც რუსეთის ხელმწიფეს დიდად აფასებენ და ძალიან პატივსა სცემენო. სხდომაზე დაესწრნენ: დიდი მთავრინა ეკატერინე მიხეილის ასული, წარჩინებულნი სტუმარნი, პრინცი ჰენრიხი ორლეანელი და მრავალნი წევრნი საგეოგრაფიო საზოგადოებისანი.

გუშინ მინისტრთა კომიტეტი ჰბჭობდა და თათბირობდა ციმბირში რკინის გზის გაყვანის საქმის შესახებ.

გაზეთები ამბობენ, რომ საექიმო დეპარტამენტმა ხასანიტარო და საპოლიციო ზედამხედველთ აუწყა, რომ პირველ აპრილიდგან გამოიცემა სასანიტარო წესი, რომელიც ყველა საქარხნო და სამრეწველო დაწესებულებისათვის სავალდებულო იქნებაო.

რომი. მასსოვიდამ სამხრეთის მხრით, იტალიისა და აბაშეთის საზღვარზე იტალიის ჯარმა მოიგერია ადგილობრივ მკვიდრთა 600 კაცი, რომელნიც თავს დაესხნენ. იტალიის ჯარში 2 მოკვდა და 7 დაიჭრა მხოლოდ მოწინააღმდეგისაში 203 კაცია მკვდარი და მათ შორის იმათი სარდალი ასკეასიც.

პეტერბურგის ბირჟა, 12 თებერვალი

| | მიცემულ. ხა. მან. კ. | გამოცემ. ლობა. მან. კ. | გაყიდ. ლობა. მან. კ. |
|---|---|---|---|
| ხუთ-მანეთიანი ოქრო . | 6 84 | 6 86 | — „ |
| ტამოჟნის კუპონები . . | 136³/₄ | 137¹/₄ | — „ |
| მანეთიანი ვერცხლის ფული. . . . . | 1 06 | 1 08 | — „ |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . . | 236¹/₂ | — „ | 228 |
| —მეორისა . . . . | — „ | — „ | — „ |
| სახელმწიფო თავად-აზნაურობის ბანკის ფურცელი . . . . . | 211¹/₂ | — „ | — „ |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა . | — „ | — „ | — „ |
| ქუთაისის ბანკისა . . | — „ | — „ | — „ |
| ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა. . . . | — „ | — „ | — „ |

## მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზე

ბათუმიდამ გადის: ხუთშაბათობით ნაშუადღევის 4 საათზედ მოკლე გზით და ნოვოროსისკსა და კერჩში შეივლის.

შაბათობით საღამოს 8 საათზე შორის გზით (ყველა ნავთ-სადგურებში შეივლის).

კვირაობით საღამოთი, საზღვარ-გარეთ, სტამბოლამდე მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდამ: სამშაბათობით შუა-ღამისას შორის გზით.

პარასკეობით დილით ოდესიდამ მოკლეს გზით (კერჩსა და ნოვოროსიისკში შესვლით).

შაბათობით დილით სტამბოლიდამ.

ფოთიდამ ბათუმში მოდის. სამშაბათობით—იმის შემდეგ, როცა სოხუმიდამ მოდის გემი შორის გზით. ხუთშაბათობით—დილის 9 საათზე და მიასწრობს მოკლეს გზით მოსიარულე კავკასიისა და ყირიმის გემსა.

შაბათობით დილის 9 საათზე და მიასწრობს შორის გზით მოსიარულე კავკასია-ყირიმისა და რუმელია-ანატოლისკენ წამსვლელს გემებს.

ბათუმიდამ ფოთს მიდის პარასკეობითა და კვირაობით. რაკი გემი მოვა ფოთიდამ, ბათუმის სააგენტო გადასწყვეტს ხოლმე, როდის წავა უკან.

ამას გარდა ყოველ-კვირა ფოთში მოდიან ოდესიდაი და ყირიმ-კავკასიის ნავთ-სადგურიდან გადაწყვეტილს გადაზე გემები.

# განცხადებანი

## მიბაძვა ქრისტესი,

თომა კემფელისა

თარგმნილი ლათინურიდგან

პ. ა. მღებრიშვილის მიერ.

წიგნი I, II, III და IV ისყიდება შემდეგს ქალაქებში:

თბილისში: „წერა-კითხვის საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში, სამღრთო წიგნთ-საკითხავში და ქართველთა წიგნის გამომცემ ამხანაგობის წიგნის მაღაზიაში.

გორში: არ. კალანდაძის სტამბასა და ზ. დონდაროვის მაღაზიაში.

ქუთაისში: ძმ. ჭილაძეებისა და ძმ. წერეთლების წიგნის მაღაზიაში.

ხონში: ძმ. წერეთლების წიგნის მაღაზიაში.

ოზურგეთში: კ. თავართქილაძის წიგნის მაღაზიაში.

ბათუმში: მ. ნიკოლაძის წიგნის მაღაზიაში.

ახალციხეში: ძველს ქალაქში სომხთა-კათოლიკე მღვდელ გვარამაძესთან.

მოზდოკში: კათოლიკეთა მღვდელ-პატრ კ. მუთაფოვთან.

ცხინვალში: დურმიშხან ყურულთან.

ფასი მთელის წიგნისა ყდითა და ოთხის სურათით 1 მ. 50 კ., უყდოდ და უსურათოდ 1 მ. (10—1)

გამოვიდა და ისყიდება

„წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ და ქართველთა ამხანაგობის წიგნის მაღაზიაში:

## გორკილი

დრამა ოთხს მოქმედებად

თხზულება

ა. ი. სუმბათაშვილისა

თარგმანი ა. მ. ახნაზაროვისა

დრამას წინ უძღვის მთარგმნელის წინასიტყვაობა, რომელშიაც მოთავსებულია ბიბლიოგრაფია თ. სუმბათაშვილის პიესებს შესახებ, და მოთხრობილია ავტორის მცირე ბიოგრაფია.

ფასი 40 კაპ.

„წერა-კითხვის საზოგადოების“
წიგნის მაღაზიამ

მიიღო გასასყიდად ახალი წიგნები.

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| ხალხური ზღაპრები შეკრებილი აღნიაშვილის მიერ . | „ | 30 |
| ლექსები ნ. ბარათაშვილისა ახალი გამოცემა . . . | „ | 30 |
| რამდენიმე ლექსი ცასხელისა. | „ | 15 |
| საქართველოს დიდი კალენდარი პ. გუნიასი 1891 წ. | „ | 40 |
| სახალხო ჯიბის კალენდარი მისივე . . . . . . | „ | 10 |
| თხზულებანი გ. ერისთავისა მშვენიერს ყდაში ავტორის სურათით. . . . . | 2 | „ |
| ქართულ-რუსული ლექსიკონი დ. ჩუბინაშვილისა სამივე ნაწილი . . . . . . | 8 | „ |
| ქართული ლექსიკონი შედგენილი საბა-სულხან ორბელიანისაგან . . . . . | 3 | „ |
| გზა ცხოვრებისა შედგენილი წმიდისა ალ. ლიგუორისაგან . . . . . . . | 1 | „ |
| წინამძღვარი ზეცისა. . . | „ | 50 |
| წმიდათა ცხოვრება . . . | 1 | 20 |
| იგავნი ფილოსოფოს ეზოპისა . . . . . . . | „ | 40 |
| სიბრძნე კაცობრივი . . . | 1 | „ |
| ბრძენი კაცი . . . . . . | „ | 30 |
| მოკლე სახელმძღვანელო ფრანგული ენისა. ყდით . . | „ | 50 |
| მოკლე ფრანგული გრამატიკა. | „ | 40 |
| მოკლე მსოფლიო ისტორია ძველთა და ახალთა ნათესავთა დასაბამიდგან სოფლისავიდრე დღევანდლამდე. ყდით. . . . . | 1 | 20 |
| მოკლე გეოგრაფია ფიზიკებრივი, მოქალაქებრივი და ისტორიებრივი დამატებით ძველი გეოგრაფიისა . . | „ | 50 |
| მოკლე ქართული გრამმატიკა დამატებით გრამმატიკური და ლოღიკური ანალიზებისა . . . . . . . | „ | 40 |
| მოკლე რეტორიკა, გინა მჭევრმეტყველება სასარგებლოდ ახალგაზდა ყმაწვილ-კაცისა. ყდით. . . . . | „ | 50 |
| მოკლე ფილოსოფია, გინა სიბრძნის მოყვარეობა, რომელიც შეიცავს ფსიხოლოღიას, ლოღიკას, ბუნებით ღვთის მეტყველებას და ზნეობას. ყდით . . | „ | 50 |
| წამება ლექსად თქმული ცხოვრება წმიდისა ესტატესა. ყდით . . . . . . . | „ | 60 |
| ყვავილების კონა, ანუ რჩეული ლექსები სასარგებლოდ ახალგაზდა ყმაწვილ კაცთა. | „ | 50 |
| საქართველოს სამოთხე საბინინისა ოცდა შვიდი სურათით . . . . . . | 10 | „ |
| Книга Калилаh и Диманаh или сборникъ Басенъ извѣстныхъ подъ именемъ басенъ Бидпая, переводъ съ арабскаго М. О. Аттая и М. В. Рябинина, цѣна. . . | 3 | „ |
| Матеріалы для русской исторіи, С. Ал. Бѣлокурова . . . . . . | 3 | „ |
| Сношенія Россіи съ Кавказомъ, С. А. Бѣлокурова . . . . . . | 3 | „ |
| Поѣздка старца Арсенія Суханова въ Грузію 1637—1640 гг. . . | „ | 25 |

კერძო ექიმი

## პრეობრაჟენსკი

არჩენს ელექტრონითა: ფარალისებურ და გალვანისებურ ხელისა და ფეხის სიდამბლეს, ნევრების სნეულებას, ნევრების ქარსა და კონტრაქტურას (გაზაკის ნასკვს); არჩენს აგრეთვე სიდამბლისაგან ყრუდ, ბრმად და მუნჯად ჩავარდნილთა.

ამას გარდა სწამლობს დედათა სნეულებას და სიფილისს, ავადმყოფებს მიიღებს ყოველ დღე: დილით ცხრა საათიდგან 12 საათამდე და საღამოთი 7—8-მდე.

ადრესი: მიხეილისა და ელისაბედის ქუჩების შესახვევში, მიხეილის ქუჩით № 9 და ელისაბედის ქუჩით № 2, სახლი პოპოვისა, ვორონცოვის ნომრების პირდაპირ.

(10—8)

## „დასავლეთი“

ახალი რესტორანი, ვერაზე, მებურნეთოვის სახლებში, ფოსტის სადგომის გვერდით.

რესტორანის სადგომი ახლად შეკეთებულია და თბილი. საჭმელები ევროპიული და ჩვენებური; საუკეთესო ბუფეტია. სასმელები ევროპიული და ჩვენებური.

სადილები დღიურად და თვიურად შეიძლება თვითონ რესტორანში მიიღონ ან ბინაზე, შინ სახლში, წაიღონ. რესტორანში ცალკე ოთახებიცაა, მშვენიერად მორთული და მოწყობილი.

ფასები ყველაფრისა იაფია.

თავმდები ვართ, რომ ხორაგეული სუფთაა და ბუფეტი უნაკლულო.

(40—18)

ნ. ჩიკვაიძე და
ს. მელიქგაური

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

## ივერია

1891 წ. 1-ს იანვრიდამ გამოვა ყოველ-დღე გარდა იმ დღეებისა, რომელნიც ზედ მოსდევენ კვირა-უქმეებს.

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 12 | თვეით. . . | 10 მ.—კ. | 6 | თვეით . . . | 6 მ.—კ. |
| 11 | „ . . . | 9 „ 50 „ | 5 | „ . . . | 5 „ 25 „ |
| 10 | „ . . . | 8 „ 75 „ | 4 | „ . . . | 4 „ 70 „ |
| 9 | „ . . . | 8 „ — „ | 3 | „ . . . | 3 „ 50 „ |
| 8 | „ . . . | 7 „ 25 „ | 2 | „ . . . | 2 „ 50 „ |
| 7 | „ . . . | 6 „ 50 „ | 1 | „ . . . | 1 „ 75 „ |

საზღვარ-გარეთ დაბარებული ეღირება 17 მან. მთელის წლით. სოფლის მასწავლებელთ „ივერია“ მთელის წლით დაეთმობათ 8 მან. ტფილისის გარედ მცხოვრებთ უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:

Тифлисъ, Въ редакцію газеты „ИВЕРІЯ“.

თუ ტფილისში დაკვეთილი გაზეთი ტფილისის გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმე, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანათი; სხვა ყოველის ადრესის შეცვლაზე—40 კაპ.

თუ თვეის განმავლობაში დაიკვეთა ვინმემ გაზეთი არა მთელის წლით, იმას მხოლოდ შემდეგის თვეის პირველ დღიდგან გაეგზავნება. განცხადებანი მიიღებიან გაზეთის რედაქციაში.

ფასი განცხადების დაბეჭდვისათვის:

ა) მეოთხე გვერდზედ თითოჯერ სტრიქონი 8 კაპ., პირველზე—16 კაპ. ბ) სრული უკანასკნელი გვერდი 30 მანათი, ხოლო პირველი გვერდი—60 მანათი. რიცხვი სტრიქონებისა გამოიანგარიშება იმის კვალობაზედ, რამდენს ადგილსაც დაიჭერს 25 ასო გაზეთის ტექსტისა.

ხელ-ნაწერი და საგაზეთოდ დანიშნული წერილები (კორრესპონდენციები) რედაქციის სახელობაზედ უნდა გამოიგზავნოს. მიღებული ხელ-ნაწერები, არა საგაზეთო წერილები, თუ საჭიროება მოითხოვს, ან შემოკლებულ, ან შესწორებულ იქმნება. არ-დასაბეჭდს ხელ-ნაწერებს, თუ ერთის თვეის განმავლობაში პატრონებმა არ მოიკითხეს, მერე რედაქციას ველარ მოსთხოვენ.

არა-გვარს მიწერ-მოწერას არ-დასაბეჭდთა ხელ-ნაწერებისა და წერილების შესახებ რედაქცია არა კისრულობს.

პირდაპირ მოლაპარაკებისათვის რედაქცია თავისუფალი იქნება ყოველ დღე, კვირა-უქმებს გარდა, პირველ საათიდგან სამ საათამდე და საღამოობით 7-დკან 8 საათამდე.

რედაქცია იმყოფება: კუკიაში, ნიკოლოზის ქუჩაზე, თ. გრუზინსკისეულს სახლებში, № 21.

გამოვიდა და ისყიდება
„წერა-კითხვის საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში

## „ისტორიული ნარკვევი“

ანუ

ქრისტომატია საქართველოს ისტორიისათვის

შედგენ. ალ. ჭყონიას მიერ

ფასი 1 მან. 50 კაპ.

ქალაქს გარეთ ისყიდება: გორში—ირაკლი რამიშვილთან, ოზურგეთში—თავართქილაძესთან, ქუთაისში—წიგნის მაღაზიებში ჭილაძეებისა და წერეთლებისაში და ბათუმში—მათე ნიკოლაძესთან.